ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №588677

ნომერი: AR1112207

თარიღი : 26.02.2013

გაცემის თარიღი : 14.03.2013

გაცნობის თარიღი : 14.03.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექარი კინწურაშვილი პ/ნ 01030015381
- თბილისი, მარჯანიშვილის #67

ორგანიზაცია:

- შპს პოლიპრინტი კოდი: 202286383

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1112207 განცხადებაზე №568214 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან სრულად არ არის გამოსწორებული, კერძოდ:

ატვირთული ესკიზური ნააზებზე ზომები, რომელიც ყვითელი ფერით არის აღნიშნული არ იკითხება, ასევე ერთ–ერთი ობიექტი (რომლის ფართია 258 კვ.მ) სცდება პირველი კლასის მახასიათებლებს და იგი თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება ისეთი კლასის შენობას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას. “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები.

"დამატებითი დოკუმენტაციის" ველში მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოსადგენია მხოლოდ I კლასის მახასიათებლების მქონე ობიექტები, რომლებიც დატანილი იქნება საკადასტრო გეგმაზე , შესაბამისი ფუნქციების მითითებით და ზომების დატანით.
ასევე, "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" – თქვენს მიერ ატვირთული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და ფოტომონტაჟი არ ემთხვევა ერთმანეთს. წარმოსადგენია არსებული სიტუაციის ფოტომასალაზე დამუშავებული კარგი ხარისხის ფოტომონტაჟები ყველა ზომების მითითებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.